

MAP მონიტორინგის ანგარიში II
მონიტორინგის პერიოდი: თებერვალი 2021 – ივლისი 2021

ნენსკრა ჰიდროელექტროსადგურის პროექტი
EBRD პროექტის ნომერი 46778

საქმე 2018/08

ნოემბერი 2021

შენიშვნა: ეს საქმე მიღებულია პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) ფარგლებში - EBRD-ის ყოფილი ანგარიშვალდებულების მექანიზმი - 2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად.

2020 წლის 1 ივლისიდან, პროექტის გასაჩივრების მექანიზმი შეცვალა პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელმა მექანიზმმა (IPAM), რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის საფუძველზე. საქმის გადასვლის შესახებ პოლიტიკის დებულებების შესაბამისად, ნენსკრას მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის მოთხოვნებთან და მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის (MAP) მონიტორინგის გეგმასთან შესაბამისობით.

IPAM EBRD-ის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმია. იგი განიხილავს, პროექტით დაზარალებული ადამიანებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ, გარემოსდაცვით, სოციალურ და პროექტის საჯაროობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. IPAM-ს შეუძლია პრობლემების მოგვარება ორი გზით: i) პრობლემების გადაჭრა, რომელიც მხარს უჭერს მოსარჩელესა და კლიენტებს შორის დიალოგს, რათა მოგვარდეს გარემოსდაცვითი, სოციალური და ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული პრობლემები, ბრალის ან დანაშაულის მიკუთვნების გარეშე; ან ii) შესაბამისობის მიმოხილვა, რომლებიც განსაზღვრავს, შეასრულა თუ არა EBRD-მა თავისი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა პროექტთან დაკავშირებით.

IPAM-ის შესახებ ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ipam@ebrd.com ან ეწვიეთ [IPAM webpage](#).

საკონტაქტო ინფორმაცია	როგორ უნდა შევიტანოთ საჩივარი IPAM-ში
პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი One Exchange Square ლონდონი EC2A 2JN ტელეფონი: +44 (0)20 7338 6000 ელ.ფოსტა: ipam@ebrd.com	EBRD-ის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესრულების შესახებ შეგიძლიათ მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით ან წერილობით, ან ელექტრონული ფორმის შევსებით შემდეგ მისამართზე: □ https://www.ebrd.com/project-finance/ipam.html

სარჩევი

აბრევიატურები.....	Error! Bookmark not defined.
მოკლე შეჯამება.....	Error! Bookmark not defined. -6
1. შესავალი.....	7
2. ზოგადი ინფორმაცია	7
2.1 შესაბამისობის მიმოხილვის დასკვნები.....	7
2.2. შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციები	Error! Bookmark not defined.
2.3. EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა	8
3. მონიტორინგის ანგარიში.....	Error! Bookmark not defined.
ცხრილი 1. 2021 წლის თებერვალ-ივლისში MAP-ის მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები.....	8
3.1 ამ პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის აქტივობები.....	9
3.2 მომჩივანთა პოზიცია	10
3.3 მონიტორინგის დასკვნები	13
3.4 ცხრილი 2: MAP-ის განხორციელების პროგრესი - მეორე მონიტორინგის პერიოდში განსახილველი მოქმედებები და მათი ამჟამინდელი სტატუსი	15

თუ ამ ანგარიშში სხვაგვარად არ არის მითითებული, აქ მოცემული ტერმინები განსაზღვრულია 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკით.

აბრევიატურები

EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ESIA	გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESAP	გარემოს დაცვის და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESD	EBRD-ის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი
ESP	EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა
IPAM	პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი
IP	მკვიდრი მოსახლეობა
გამსესხებლები / სპონსორები	იგულისხმება პროექტის დამფინანსებლები, რომლებიც მოიცავს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB), აზიის განვითარების ბანკს (ADB), აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB), კორეის განვითარების ბანკს (KDB) და კორეის სავაჭრო სადაზღვევო კორპორაციას (K-SURE).
MAP	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა
MDB	მრავალმხრივი განვითარების ბანკი
OGC	გენერალური მრჩეველის ოფისი
PAP ან Policy	IPAM პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა
PCM	პროექტის გასაჩივრების მექანიზმი
პროექტი	ნენსკრა ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (46778) საქართველოში

მოკლე შეჯამება

2018 წლის ივნისში, პროექტის გასაჩივრების მექანიზმმა (PCM), [ნენსკრა ჰესის პროექტთან \(46778\)](#) დაკავშირებით, მიიღო საჩივარი საქართველოს ჭუბურის თემის წევრებისგან, მათთან ერთად სარჩელის თანამემომტანები იყვნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელი (CEE Bankwatch Network) და „მწვანე ალტერნატივა“ (მოსარჩელეები).

PCM შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა გამოავლინა ხუთ (5) გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის შესრულების მოთხოვნებთან შეუსაბამობა და წარმოადგინა თერთმეტი (11) პროექტის დონის და სისტემური რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის მოსაგვარებლად.

2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად, EBRD-ის მენეჯმენტმა, ექსპერტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) მოამზადა. მენეჯმენტმა მიმართა აუდიტის კომიტეტს MAP-ის პროექტის დასამტკიცებლად 2020 წლის 16 ივლისს. აუდიტის კომიტეტის წევრებმა მოითხოვეს მცირე ცვლილებების შეტანა, რის შემდეგაც, გაუპროტესტებლობის პროცედურის საფუძველზე, საბოლოო ვერსია დამტკიცდა 2020 წლის აგვისტოში, რომელიც გულისხმობს თერთმეტ (11) გასატარებელ ღონისძიებას.

შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში და დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა [IPAM-ის საჯარო საქმეთა რეესტრში](#) 2020 წლის 11 აგვისტოს და ამგვარად, დაიწყო MAP-ის მონიტორინგის ეტაპი. იმ პერიოდის განმავლობაში, IPAM-მა მოამზადა MAP-ის მონიტორინგის გეგმა, რომელიც გამჟღავნდა 2020 წლის ნოემბერში [IPAM-ის საქმეთა რეესტრში](#). მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით, რათა IPAM-მა ჩათვალოს ქმედებები დასრულებულად. IPAM-მა გამოსცა თავისი [პირველი მონიტორინგის ანგარიში](#) რითიც დასრულდა ქმედებები 1.i), 3.i), 4.i) და ii), ქმედება 8.i) და ქმედება 10.i) ქმედება 5.i) (სამაგიდო შესწავლა) ღია დარჩა მონიტორინგის მეორე პერიოდისთვის.

ეს ანგარიში მოიცავს მონიტორინგის მეორე პერიოდს - 2021 წლის თებერვლიდან ივლისამდე. ამ პერიოდისთვის, MAP-მა დაადგინა მისაღწევი აქტივობები მენეჯმენტის ქმედებებთან 2, 3.ii, 4.iii და 9, დაკავშირებით და IPAM-ის მონიტორინგის გეგმაში დეტალურად გაიწერა IPAM-ის მიერ განსახორციელებელი აქტივობები, რათა ისინი ჩაითვალოს დასრულებულად პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის¹. კრიტერიუმების მიხედვით.

¹ PAP-ის მიხედვით, IPAM ჩათვლის მოქმედებას დასრულებულად, როდესაც განხორციელების გეგმები და ვალდებულებები ეფექტურად განხორციელდება და განრიგი დაცულია.

ამას გარდა, მენეჯმენტის ქმედება 5 ფაზა 1 (სამაგიდო კვლევა) ჯერ კიდევ პროცესში იყო პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს, ამიტომ ის ასევე განხილულია ამ ანგარიშში.

IPAM-ის ქმედებებისა და თითოეული მოქმედების შესრულების მოთხოვნების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია MAP-ის განხორციელების მონიტორინგის გეგმაში, IPAM-მა დაადგინა, რომ ქმედება 5 ფაზა 1 (სამაგიდო კვლევა) და მოქმედება 9 დასრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტის მიერ მეორე მონიტორინგის პერიოდისთვის შესრულებული სხვა ქმედებების პუნქტები პროგრესირებს, თითოეული ქმედების ფარგლებში რჩება დარჩენილი მოთხოვნები, რომლებიც მენეჯმენტმა უნდა შეასრულოს და შესაბამისად, IPAM-მა ჩათვალოს ის დასრულებულად. მოქმედებები, რომლებიც ღიად დარჩება მონიტორინგის მომდევნო პერიოდისთვის, არის:

- **მენეჯმენტის ქმედება 2** - PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა დასრულებულია და განიხილება საბჭოს მიერ, მაგრამ ელოდება გამჟღავნებას. ვალდებულება არ არის დაცული და არ არის მოწოდებული სავარაუდო ახალი ვადები - **მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**
- **მენეჯმენტის ქმედება 3 ii.** – ალტერნატივების შეფასების შიდა სახელმძღვანელო ჩანაწერი შეიცავს კარგი საერთაშორისო პრაქტიკის განმარტებას. თუმცა, ის არ შეიცავს მითითებებს იმის შესახებ, თუ რომლის გამოყენებაზე იღებს ვალდებულებას MAP. **მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**
- **მენეჯმენტის ქმედება 4.iii** – სახელმძღვანელო შენიშვნა შედგენის პროცესშია და ტრენინგი უნდა ჩატარდეს. ვალდებულება არ იქნა შესრულებული და არ არის მოწოდებული შესწორებული ვადები - **ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**

შესაბამისობის პროცესის შედეგები და ვადები

S.No.	აქტივობა	ვადა
1.	შესაბამისობის მიმოხილვის დასრულება	ივლისი 2020
2.	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა დამტკიცება	აგვისტო 2020
3.	MAP მონიტორინგის გეგმა	ნოემბერი 2020
4.	მონიტორინგის პირველი ანგარიში სექტემბერი 2020 – იანვარი 2021	აპრილი 2021
5.	მონიტორინგის მე-2 ანგარიში, 2021 წლის თებერვალი - 2021 წლის ივნისი	ნოემბერი 2021

მონიტორინგის მესამე პერიოდისთვის, მესამე პერიოდის ქმედებების გარდა, IPAM მონიტორინგს გაუწევს მენეჯმენტის ქმედებებს 2, 3ii, 4iii და სთხოვს მენეჯმენტს,

დაადგინონ შესწორებული ვადა მათი დასრულებისთვის და წარმოადგინონ ახალი ვადების დასაბუთება.

მონიტორინგის შემდეგი ანგარიშის გასაჯაროება 2022 წლის თებერვლის ბოლოს იგეგმება.

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ნენსკრა ჰესის (46778) [2018/03 საქმესთან](#) დაკავშირებული მართვის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეორე ანგარიშს. პროექტის საჩივრების მექანიზმმა (PCM) დაარეგისტრირა საქმე 2018 წელს და ანდრეა სალდარიამ, PCM ექსპერტმა, ჩაატარა საქმის შესაბამისობის მიმოხილვა 2014 წლის PCM პროცედურული წესების შესაბამისად. ამ უკანასკნელის თანახმად, შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში და მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP), ანგარიშის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის, წარედგინა EBRD-ის დირექტორთა საბჭოს 2020 წლის ივლისში და MAP საბოლოოდ დამტკიცდა 2020 წლის 5 აგვისტოს.

2020 წლის 1 ივლისს, ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა (PAP), ამგვარად, შეცვლა 2014 პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესები. შედეგად, პოლიტიკის მე-V ნაწილში დადგენილი გარდამავალი დებულებების შესაბამისად, IPAM-ის მიერ ნენსკრა MAP-ის განხორციელების მონიტორინგი PAP-ის დებულებებით იხელმძღვანელებს (PAP-ის 2.8 პუნქტი).

2020 წლის მეორე ნახევარში IPAM-მა მოამზადა და გამოაქვეყნა [მონიტორინგის გეგმა](#) ამ საქმისთვის, რასაც მოჰყვა [მონიტორინგის პირველი ანგარიში](#) 2021 წლის აპრილში. ეს არის მონიტორინგის მეორე ანგარიში, რომელიც მოიცავს IPAM-ის მონიტორინგის აქტივობებს მენეჯმენტის შესაბამის ქმედებებთან დაკავშირებით 2021 წლის თებერვლიდან 2021 წლის ივლისამდე.

2. ზოგადი ინფორმაცია

2018 წლის 31 მაისს, პროექტის გასაჩივრების მექანიზმმა (PCM), [ნენსკრა ჰესის პროექტთან \(46778\)](#) დაკავშირებით, მიიღო საჩივარი საქართველოს ჭუბერის თემის წევრებისგან, მათთან ერთად სარჩელის თანაშემომტანები იყვნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელი (CEE Bankwatch Network) და მწვანე ალტერნატივა (მოსარჩელები).

შესრულების მიმოხილვაზე პასუხისმგებელმა PCM შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა გამოავლინა ხუთ (5) ESP-ის შესრულების მოთხოვნასთან შეუსაბამობა და წარმოადგინა თერთმეტი (11) პროექტის დონის და სისტემური რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის მოსაგვარებლად.

2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად, EBRD-ის მენეჯმენტმა, ექსპერტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) მოამზადა. მენეჯმენტმა მიმართა აუდიტის კომიტეტს MAP-ის პროექტის დასამტკიცებლად 2020 წლის 16 ივლისს. აუდიტის კომიტეტის წევრების უკუკავშირის შემდეგ, MAP-სა და საბჭოში მცირე ცვლილებები იქნა შეტანილი გაუპროტესტებლობის პროცედურის საფუძველზე, საბოლოო ვერსია დამტკიცდა 2020 წლის აგვისტოში.

შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში და დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა [IPAM-ის საჯარო საქმეთა რეესტრში](#) 2020 წლის 11 აგვისტოს და ამგვარად, დაიწყო MAP-ის მონიტორინგის ეტაპი.

2.1 შესაბამისობის მიმოხილვის დასკვნები

2020 წლის ივლისში ექსპერტმა დაადგინა, რომ ბანკმა არ შეასრულა 2014 წლის ESP-ის მოთხოვნები 7, 1, 5, 8 და 10, რაც ასახულია [შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში](#).

2.2. შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციები

შესაბამისობის დასკვნების საპასუხოდ, ექსპერტმა თერთმეტი რეკომენდაცია მისცა ბანკს, როგორც ეს ასახულია [შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში](#): ოთხი იყო სისტემური/პროცედურული ხასიათის და შვიდი კონკრეტულად პროექტისთვის, რაც დეტალურადაა აღწერილი [პირველი მონიტორინგის ანგარიშში](#).

2.3. EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა

ექსპერტის დასკვნებისა და რეკომენდაციის საპასუხოდ, ბანკმა მოამზადა მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა ([MAP](#)), რომელიც დაამტკიცა საბჭომ და გამოაქვეყნდა 2020 წლის 5 აგვისტოს. MAP-ში დეტალურადაა აღწერილი განსახორციელებელი 11 ქმედება და მოსალოდნელი განხორციელების ვადები.

3. მონიტორინგის ანგარიში

წინამდებარე ანგარიში მოიცავს მონიტორინგის მეორე პერიოდს - 2021 წლის თებერვლიდან ივლისამდე. ამ პერიოდისთვის, MAP-მა დაადგინა მისაღწევი აქტივობები მენეჯმენტის ქმედებებთან 2, 3.ii, 4.iii და 9, დაკავშირებით და IPAM-ის მონიტორინგის გეგმაში დეტალურად გაიწერა IPAM-ის მიერ განსახორციელებელი აქტივობები, რათა ისინი ჩაითვალოს დასრულებულად პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის²

² PAP-ის მიხედვით, IPAM ჩათვლის მოქმედებას დასრულებულად, როდესაც განხორციელების გეგმები და ვალდებულებები ეფექტურად განხორციელდება და განრიგი დაცულია.

კრიტერიუმების მიხედვით. (იხილეთ ცხრილი 1 მონიტორინგის ამ პერიოდის მოქმედებებისთვის)

გარდა ამისა, მენეჯმენტის ქმედება 5 (ფაზა 1) ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს, ამიტომ ის ასევე განხილულია ამ ანგარიშში.

ცხრილი 1. 2021 წლის თებერვალ-ივლისში MAP-ის მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები

Acti on No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის
2	ჩატარდეს შესწორებული PR7-ის ხარვეზების ანალიზი 2019 ESP-სა და PR7-ის ახალ სახელმძღვანელო შენიშვნაში, რომელიც ამჟამად მზადების პროცესშია, ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით, ყველა ელემენტის ჩართვის უზრუნველსაყოფად. დასრულდეს და გამოაქვეყნდეს PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნა. მენეჯმენტის დედლაინი: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლომდე	ხარვეზების ანალიზისა და საბჭოს განხილვისა და გამჟღავნების პროცესის გადამოწმება	ივლისი 2021	- მენეჯმენტის მიერ შესრულებული ხარვეზების ანალიზი - PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა განხილულია საბჭოს მიერ - მენეჯმენტის მიერ გამჟღავნებული PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა
3.	(ii) გასაჯაროებისთვის შიდა მითითებების მომზადება, როდესაც ალტერნატივების ანალიზი უკვე ჩატარდა ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიმოხილვის, GIP-თან მიმართებით, ასეთი ანალიზის შედეგებამდე. მენეჯმენტის დედლაინი: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლომდე	შიდა სახელმძღვანელო მითითების მიმოხილვა.	ივლისი 2021	სახელმძღვანელო შენიშვნა განიხილება IPAM-ის მიერ
4.	(iii) შემუშავდება შიდა სახელმძღვანელო უფრო ფართო გენდერული განხილვისთვის, 2019 წლის ESP-ისა და მასთან დაკავშირებული შესრულების სტანდარტების საფუძველზე და ESD-ის ჩაუტარდება ტრენინგები, რათა დაეხმაროს პროექტებში გენდერული საკითხების / რისკების მოგვარებაში. მენეჯმენტის დედლაინი: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლომდე	- შიდა სახელმძღვანელოს მიმოხილვა უფრო ფართო გენდერული მოსაზრებების ჩართვის შესახებ - ტრენინგის ჩანაწერების მოთხოვნა - ერთი IPAM გუნდის წევრი მონაწილეობას მიიღებს ტრენინგში	ივლისი 2021	- სახელმძღვანელო შენიშვნა განიხილება IPAM-ის მიერ - ტრენინგის დოკუმენტების მიღება IPAM-ის მიერ - ტრენინგში მონაწილეობა მიიღო IPAM-ის გუნდის ერთმა წევრმა.
9.	მენეჯმენტი გააგრძელებს მსესხებელთან და მათ მრჩეველთან ურთიერთობას LALRP-ის განახლების უზრუნველსაყოფად PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, მათ შორის,	- LALRP-ის განხორციელების ანგარიშის განხილვა, რათა დადასტურდეს ზღვრების მოხსნა წინა და მიმდინარე აქტივობებზე მიწის შესყიდვისთვის. - დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩანაწერების	ივლისი 2021	LALRP განხორციელების ანგარიში განხილულია და პროექტის შემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების გამოხმაურება გათვალისწინებულია

Acti on No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის
	უფლებების მატრიცის სპეციფიკურ ზღვრებზე მითითებების წაშლა. მენეჯმენტის დედლაინი: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლომდე	გადახედვა, რათა ინახოს დაზარალებული ადამიანების გამოხმაურება განხორციელებულ პროცესზე.		დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩანაწერების მეშვეობით.
მომავალი მოქმედებები სხვა მონიტორინგის პერიოდებიდან				
5.	კონსულტაციები პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, პროექტის სპონსორებთან, პროექტის გამსესხებლებთან, საქართველოს მთავრობის შესაბამის დეპარტამენტთან და ამ სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივი აღიარების მქონე ექსპერტებთან, რათა განისაზღვროს შესაბამისი შემდეგი ნაბიჯები პროექტის ESIA-ს კონტექსტში და სვანეთში PR7-ის გამოყენებადობის უფრო ფართო შინაარსისთვის. მენეჯმენტის დედლაინი: ფაზა 1 (სამაგიდო კვლევა): ნოემბერი 2020	I ეტაპის ანგარიშის განხილვა.	დეკემბერი 2020	I ეტაპის ანგარიშის განხილვა.

3.1 ამ პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის აქტივობები

ამ პერიოდის განმავლობაში და მონიტორინგის განსახორციელებელი ქმედებებიდან გამომდინარე, IPAM-მა გამართა შეხვედრები მენეჯმენტთან, განიხილა განსახილველად წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტები (საბოლოო და სამუშაო ვერსიები), საჭიროების შემთხვევაში კომენტარი გააკეთა და მოითხოვა განმარტებები იმ საკითხებზე, რომლებიც შეფერხდა თავდაპირველი ვადების მიხედვით.

IPAM ვირტუალურად შეხვდა მომჩივანებს ამ ქმედებების განხორციელებასთან და პროექტის დონეზე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემულია მონიტორინგის აქტივობების შეჯამება, რომლებიც განხორციელდა თითოეულ ქმედებასთან დაკავშირებით:

მენეჯმენტის ქმედება 2. IPAM-მა მენეჯმენტისგან მიიღო PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა განსახილველად და ეცნობა, რომ საბჭომ განიხილა დოკუმენტი და დირექტორების მიერ გაკეთებული კომენტარები განხილული იქნა საბოლოო ვერსიაში. საბოლოოდ, მენეჯმენტმა დაამტკიცა სახელმძღვანელო მითითება, მაგრამ არ გაუსაჯაროებია დოკუმენტი.

მენეჯმენტის ქმედება 3 ii. IPAM-მა მენეჯმენტისგან მიიღო სახელმძღვანელო მითითება ალტერნატივების შეფასების შესახებ“. IPAM-ის მიერ ამ შიდა შენიშვნის გადასინჯვა ეხებოდა იმ ორ პუნქტს, რომელიც იყო მენეჯმენტის პასუხისმგებლობა. ესენია: (1) კარგი

საერთაშორისო პრაქტიკის განსაზღვრა ალტერნატივების შეფასებისთვის და მისი გამოყენება შიდა სახელმძღვანელოს ESD-ის გარანტიის ჩარჩოს ფარგლებში, და (2) მომზადდება შიდა სახელმძღვანელო მითითებები გამჟღავნებისთვის, როდესაც ალტერნატივების ანალიზი უკვე განხორციელდა ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიერ ასეთი ანალიზის განხილვის შედეგები GIP-ის ფარგლებშია.

პირველ პუნქტთან დაკავშირებით, IPAM-მა დაადასტურა, რომ შიდა სახელმძღვანელო მითითებამ/შენიშვნამ განსაზღვრა კარგი საერთაშორისო პრაქტიკა ალტერნატივების შეფასებისთვის. თუმცა, მეორე პუნქტთან დაკავშირებით, IPAM-მა ვერ იპოვა ენა, რომელიც წარმართავდა მენეჯმენტის მიერ აღებულ ვალდებულებას „...გამჟღავნდეს საზოგადოებისთვის და დირექტორთა საბჭოსთვის, როდესაც ალტერნატივების განხილვა უკვე დასრულებულია ბანკის პროექტში ჩართვის დროისთვის და ბანკის მიერ GIP-ის ფარგლებში განხორციელებული ალტერნატივების ანალიზის მიმოხილვის დასკვნები ჩამოყალიბებულია“³. ამიტომ, IPAM თვლის საჭიროდ, რომ მენეჯმენტმა ჩართოს შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები, სანამ ქმედებას დასრულებულად ჩათვლის.

მენეჯმენტის ქმედება 4 iii. IPAM-მა მიიღო გენდერული წინასწარი კვლევის სახელმძღვანელო მითითების დოკუმენტის სამუშაო ვერსია. დოკუმენტის მიხედვით, სახელმძღვანელო მითითება მიზნად ისახავს ESD-ის მიერ გენდერული რისკების, ზემოქმედებისა და შესაძლებლობების შეფასებას ბანკის საინვესტიციო ოპერაციებში სკრინინგის ეტაპიდან მონიტორინგამდე ბანკის PR-ების შესაბამისად. IPAM მიიწვიეს მენეჯმენტის მიერ ორგანიზებულ სემინარში მონაწილეობის მისაღებად დოკუმენტის ამ ვერსიის განხილვისა და უკუკავშირის გაცემის მიზნით.

მენეჯმენტის ქმედება 5. პირველი მონიტორინგის პერიოდში, მენეჯმენტმა IPAM-ს წარუდგინა წინასწარი ანგარიში პირველ ფაზაში განხორციელებული სამაგიდო მიმოხილვის შესახებ, რომელიც აანალიზებდა კრიტერიუმებს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა IFI-ების მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმართებაში. IPAM შემდეგ დაუკავშირდა მომჩივნებს, რომლებმაც გამოთქვეს შეშფოთება ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციის არარსებობის გამო. შედეგად, IPAM ვალდებულია იმუშაოს მენეჯმენტთან იმის გასაგებად, თუ როგორ განხორციელდა კონსულტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან რა გეგმები არსებობდა ამ კონსულტაციის გამართვასთან დაკავშირებით.

ამის საპასუხოდ, მენეჯმენტმა აცნობა IPAM-ს, რომ „შეირჩა კულტურული საკონსულტაციო სამსახური (CCCS), რათა ჩაატაროს დამოუკიდებელი მესამე მხარის შეფასება EBRD-ის PR7 მოთხოვნების სვანების შემთხვევაში გამოყენებადობის შესახებ. CCCS-ის მანდატი დაიწყო 2020 წლის მეორე კვარტალში PCM საჩივრის, შედეგად მიღებული შესაბამისობის განხილვის ანგარიშით და ხელმისაწვდომი ეთნოგრაფიული ლიტერატურის განხილვით. ეს სამუშაო დასრულდა როგორც წინაპირობა საჭირო საველე სამუშაოებისათვის, რომელიც გადაიდო COVID-19 პანდემიის გამო. შეზღუდვების შემსუბუქებასთან ერთად, CCCS უკვე მზად არის საქართველოში საველე სამუშაოების

³ იხილეთ მენეჯმენტის კომენტარი და მოქმედება ნენსკრა ჰესის მართვის სამოქმედო გეგმის მე-3 რეკომენდაციაზე.

ოფიციალური დაგეგმვის დასაწყებად. როგორც პირველი ნაბიჯი, CCCS დაუკავშირდება PCM საჩივრის მონაწილე მხარეებს, ასევე პროექტის წარმომადგენლებს და საქართველოს მთავრობას, რათა მოითხოვოს მონაწილეობა სავსე სამუშაოების დაგეგმვაში. ეს საწყისი ჩართულობა მიზნად ისახავს: (1) წარმომადგენლის კვლევის მიზნები; (2) შემუშავდეს ჯგუფებისა და ინდივიდების სია, ვისთანაც უნდა ჩატარდეს კონსულტაცია; (3) დაადასტუროს კულტურულად შესაბამისი საკონსულტაციო პროტოკოლები და მეთოდები; და (4) დააზუსტოს კონსულტაციების დროს გასაშუქებელი საგნები.

მენეჯმენტმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კოვიდთან დაკავშირებული მოგზაურობის მიმდინარე შეზღუდვების გათვალისწინებით, ეს მოხდება დისტანციურად ვიდეო კონფერენციის ან სხვა საშუალებების მეშვეობით, როგორც ეს მიზანშეწონილია. ამის შემდეგ, CCCS მოამზადებს გეგმას და დაადასტურებს ვადებს კვლევის სავსე სამუშაოების კომპონენტისთვის. ჩართულობისა და კონსულტაციის ეს გეგმა მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეს და შესრულდება რაც შეიძლება მალე. EBRD-ს შეუძლია დაადასტუროს, რომ შეფერხებები გამოწვეულია მოგზაურობისა და ოპერაციული შეზღუდვებით და ჩვენ არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ, რომ ეს კვლავ პრობლემური იქნება. თუმცა, EBRD შეეცდება იმუშაოს შეზღუდვების ფარგლებში, რამდენადაც ეს პრაქტიკული იქნება.”

მენეჯმენტის ქმედება No. 9. მენეჯმენტმა მიაწოდა IPAM-ს LALRP განხორციელების ანგარიში და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩანაწერები. IPAM-ის მიმოხილვა ადასტურებს, რომ LALRP განხორციელების ანგარიში ასახავს ზღვრების მოხსნას მიწის შესყიდვის წინა და მიმდინარე აქტივობებზე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩანაწერები მოიცავს სხვადასხვა კონსულტაციებს, რომლებიც ჩატარდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებთან.

3.2 მომჩივანთა პოზიცია

IPAM მონაწილეობდა მომჩივანებთან ვირტუალური სესიაში. შეხვედრის დროს მომჩივანებმა კიდევ ერთხელ გამოთქვეს შეშფოთება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებთან და სვანურ ლალხორთან⁴ კონსულტაციებისა და გამოწვევების შესახებ ვიდეო კონფერენციის საშუალებით PR7 გამოყენებადობის კვლევასთან დაკავშირებით. მათ დაადასტურეს, რომ მათ მიიღეს მოკლე, მაგრამ სასარგებლო პასუხი ინფორმაციის მოთხოვნაზე 1 ფაზის შესახებ.

მე-2 ფაზის შესახებ მათ განაცხადეს, რომ „შეიძლება უფრო ადვილი იყოს ლალხორის წევრებთან დაკავშირება მესტიასა და თბილისში, სადაც ინტერნეტი უკეთესია. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომჩივანებს, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებს და ლალხორის წევრებს, რომლებიც იმყოფებიან ჭუბერსა და ნაკრაში, სადაც ინტერნეტი (და თუნდაც სატელეფონო) კავშირი შეიძლება იყოს სუსტი და წყვეტილი.

⁴ ლალხორი ტრადიციული სვანური საბჭოს სხდომაა.

მე-2 ფაზის შეფასების მომზადებისთვის ჩართულობის საწყისი ეტაპი შეიძლება იყოს ტესტი იმისა, თუ როგორ მოხდება თავად შეფასება. უკეთ მუშაობისათვის, ნამდვილად დაგვეხმარება, თუ მენეჯმენტი და EBRD-ის კონსულტანტი:

- შეინარჩუნებენ კარგ და რეგულარულ კომუნიკაციას მომჩივანებთან და ლაღხორთან;
- გააზიარებენ მე-2 ფაზის დაპროექტების ჩართულობის საწყისი ეტაპის ზუსტ და დეტალურ ვადებს;
- კონსულტანტის მხრიდან საკმარისი დროის გამოყოფა და შესაძლებლობები და ტექნიკური მხარდაჭერის გამოხატვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დისკუსიები შეიძლება ჩატარდეს შინაარსიანი გზით.

ვიმედოვნებთ, რომ უფრო მეტს მოვისმენთ მენეჯმენტისგან და ჩამოვყალიბებთ მკაფიო და პრაქტიკულ პროცესს. Bankwatch და „მწვანე ალტერნატივა“ მზად არიან დაეხმარონ პროცესის ჩამოყალიბებას საჭიროებისამებრ.”

შეხვედრის დროს, მე-9 მენეჯმენტის ქმედებასთან დაკავშირებით LALRP-ის განხორციელებაზე, მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ მათ არ უსაუბრიათ თემის და შესაბამისად, არ იცოდნენ მოხსენებული ჩართულობის შესახებ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია მკაფიო განხილვების დადგენა განსახლების მიზნით განხორციელებულ ჩართულობასა და PR7-ის გამოყენებადობის შეფასებას შორის. ბოლოს, მათ დააფასეს მენეჯმენტის მიერ მიღწეული პროგრესი ქმედება 4.iii-თან დაკავშირებით.

3.3 მონიტორინგის დასკვნები და შემდგომი ნაბიჯები

წინამდებარე ანგარიში ეხება მონიტორინგის მეორე პერიოდს, 2020 წლის თებერვლიდან 2021 წლის ივლისამდე და ასახავს MAP-ის განხორციელების სტატუსს. 2021 წლის აგვისტოდან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება დაფიქსირდება მონიტორინგის მომდევნო ანგარიშში.

მონიტორინგის ამ მეორე პერიოდისთვის, MAP-მა აიღო ვალდებულება მენეჯმენტის 2, 3.ii, 4.iii და 9. ქმედებებთან დაკავშირებით. ასევე, ქმედება 5 ფაზა 1 (სამაგიდო კვლევა) ჯერ არ დასრულებულა (დანართში, ცხრილი 2 გვიჩვენებს ქმედებას, დაგეგმილი მონიტორინგის აქტივობებს, შედეგებსა და დადგენილებებს)

IPAM-მა განიხილა მენეჯმენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, იმუშავა ბანკის თანამშრომლებთან, რათა უკეთ გაეგოთ, თუ როგორ სრულდება კონკრეტული რეკომენდაციები MAP-ის მეშვეობით. გარდა ამისა, IPAM ვირტუალურად შეხვდა მომჩივანებს, რათა მოესმინა მათი შეხედულებები და პრობლემები.

პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკაში დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რათა განისაზღვროს მენეჯმენტის მოქმედებების დასრულება და

განხორციელებული კონკრეტული მონიტორინგის აქტივობები ოთხ ქმედებასთან დაკავშირებით ამ პერიოდის განმავლობაში, IPAM ადგენს:

მენეჯმენტის ქმედება 5 ფაზა 1 - ქმედება დასრულებულია, თუმცა არა მენეჯმენტის მიერ გაცხადებული განხორციელების ვადებში.

მენეჯმენტის ქმედება 2 - PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა დასრულებულია და განიხილება საბჭოს მიერ, მაგრამ ელოდება გამჟღავნებას. ვალდებულება არ არის შესრულებული და არ არის მოწოდებული სავარაუდო ახალი ვადები - **მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**

მენეჯმენტის ქმედება 3 ii. – ალტერნატივების შეფასების შიდა სახელმძღვანელო ჩანაწერი შეიცავს კარგი საერთაშორისო პრაქტიკის განმარტებას. თუმცა, ის არ შეიცავს მითითებებს იმის შესახებ, თუ რომლის გამოყენებაზე იღებს ვალდებულებას MAP. **მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**

მენეჯმენტის ქმედება 4.iii – სახელმძღვანელო შენიშვნა შედგენის პროცესშია და ტრენინგი უნდა ჩატარდეს. ვალდებულება არ იქნა შესრულებული და არ არის მოწოდებული შესწორებული ვადები - **ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**

მენეჯმენტის ქმედება 9 - მოქმედება დასრულებულია. LALRP განხორციელების ანგარიში ასახავს ზღვრების მოხსნას და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩანაწერები ასახავს განხორციელებულ კონსულტაციებს.

შემდგომი ნაბიჯები

მონიტორინგის მესამე პერიოდისთვის, მესამე პერიოდის ქმედებების გარდა, IPAM მონიტორინგს გაუწევს მენეჯმენტის ქმედებებს 2, 3ii, 4iii. სთხოვს მენეჯმენტს, დაადგინოს შესწორებული ვადა მათი დასრულებისთვის და წარმოადგინოს ახალი ვადების დასაბუთება.

მონიტორინგის შემდეგი ანგარიშის გასაჯაროება 2022 წლის თებერვლის ბოლოს იგეგმება.

3.4 ცხრილი 2: MAP-ის განხორციელების პროგრესი - მეორე მონიტორინგის პერიოდში განსახილველი მოქმედებები და მათი ამჟამინდელი სტატუსი

ცხრილი 2 წარმოგვიდგენს იმ ქმედებებს, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო მონიტორინგის მიმდინარე პერიოდში, მონიტორინგის აქტივობებს, რომლებიც IPAM-ს უნდა შეესრულებინა და შესრულების განსაზღვრას, PAP-ში მითითებული კრიტერიუმების მიხედვით.

ქმედება No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მართვის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნები
2	შესწორებული PR7-ის ხარვეზების ანალიზის ჩატარება 2019 ESP-სა და PR7-ის ახალ სახელმძღვანელო შენიშვნაში, რომელიც ამჟამად მზადების პროცესშია, ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით, ყველა ელემენტის ჩართვის უზრუნველსაყოფად. დასრულეს და გამოაქვეყნეს PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნა. მენეჯმენტის დედლაინი: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს (ზემოთ იხილეთ მენეჯმენტის განმარტება)	ხარვეზების ანალიზის განხილვა და საბჭოს განხილვისა და გასაჯაროების პროცესის ვერიფიკაცია	ივლისი 2021	- ხარვეზების ანალიზი დასრულებულია - მენეჯმენტის მიერ - საბჭოს მიერ განხილულია PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნა - PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნა გასაჯაროებულია მენეჯმენტის მიერ	არ არის შესრულებული ელოდება გასაჯაროებას – შესწორებული ვადები არ არის მოწოდებული	IPAM-მა განიხილა PR7 სახელმძღვანელო ჩანაწერი, საბჭოს მიერ მოწოდებული მიმოხილვის ჩათვლით. IPAM დახურავს ამ პუნქტს, როდესაც მენეჯმენტი გაამჟღავნებს მას.
3.	(i) გასაჯაროებისთვის შიდა მითითებების მომზადება, როდესაც ალტერნატივების ანალიზი უკვე ჩატარდა ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიმოხილვის, GIP-თან მიმართებით, ასეთი ანალიზის	შიდა სახელმძღვანელო მითითების მიმოხილვა.	ივლისი 2021	შიდა სახელმძღვანელო მითითება განხილულია IPAM-ის მიერ.	არ არის შესრულებული ენა გაზიარებასთან	IPAM-მა განიხილა დოკუმენტი.

ქმედება No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მართვის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნები
	შედეგებამდე. მენეჯმენტის დედლაინი: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლომდე (ზემოთ იხილეთ მენეჯმენტის განმარტება)				დაკავშირებით ელოდება გაზიარებას	
4.	(iii) შემუშავდება შიდა სახელმძღვანელო უფრო ფართო გენდერული განხილვისთვის, 2019 წლის ESP-ისა და მასთან დაკავშირებული შესრულების სტანდარტების საფუძველზე და ESD- ის ჩაუტარდება ტრენინგები, რათა დაეხმაროს პროექტებში გენდერული საკითხების / რისკების მოგვარებაში. მენეჯმენტის დედლაინი: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლომდე.	- შიდა სახელმძღვანელო შენიშვნის მიმოხილვა უფრო ფართო გენდერული მოსაზრებების ჩართვის შესახებ - მოითხოვთ ტრენინგის ჩანაწერები - IPAM-ის გუნდის ერთი წევრი უნდა მონაწილეობდეს ტრენინგში	ივლისი 2021	- IPAM-ის მიერ განხილულია სახელმძღვანელო შენიშვნა - IPAM-ის მიერ ტრენინგის დოკუმენტების მიღება - IPAM-ის გუნდის ერთმა წევრმა მონაწილეობა მიიღო ტრენინგში	არ არის დასრულებული შესწორებული ვადები არ არის მოწოდებული	IPAM-მა განიხილა წინასწარი შიდა სახელმძღვანელო შენიშვნა EBRD-ის საინვესტიციო ოპერაციებში გენდერული წინასწარი კვლევის შესახებ, მონაწილეობა მიიღო სემინარში და მიაწოდა გამოხმაურება საბოლოო სახელმძღვანელოში შესატანად.
5.	კონსულტაციები პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, პროექტის სპონსორებთან, პროექტის	I ეტაპის ანგარიშის განხილვა.	დეკემბერი 2020	I ეტაპის ანგარიშის განხილვა.	1 ფაზა დასრულდა	IPAM-მა განიხილა სამაგიდო კვლევა, რომელიც ჩატარდა I

ქმედება No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მართვის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნები
	გამსესხებლბთან, საქართველოს მთავრობის შესაბამის დეპარტამენტთან და ამ სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივი აღიარების მქონე ექსპერტებთან, რათა განისაზღვროს შესაბამისი შემდეგი ნაბიჯები პროექტის ESIA-ს კონტექსტში და სვანეთში PR7-ის გამოყენებადობის უფრო ფართო შინაარსისთვის. მენეჯმენტის დედლაინი: პირველი ეტაპი (სამაგიდო კვლევა): 2020 წლის ნოემბერი მეორე ეტაპის ბოლო ვადა (საველე კვლევა): 24 თვე MAP-ის დამტკიცებიდან - 2022 წლის აგვისტო				ფაზა 2 პროცესშია	ფაზის მოხსენების სახით. IPAM-მა განიხილა მომჩივანთა ინფორმაცია მენეჯმენტისგან მიღებული ინფორმაციის შესახებ.
9.	მენეჯმენტი გააგრძელებს მსესხებელთან და მათ მრჩეველბთან ურთიერთობას LALRP-ის განახლების უზრუნველსაყოფად PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, მათ შორის, უფლებების მატრიცის სპეციფიკურ ზღვრებზე მითითებების წაშლა.	- LALRP-ის განხორციელების ანგარიშის მიმოხილვა მიწის შესყიდვის ყველა გასული და მიმდინარე საქმიანობის ბარიერების გაუქმების	ივლისი 2021	განხილულია LALRP-ის განხორციელების ანგარიში და პროექტის შედეგად დაზარალებული პირების უკუკავშირი მოდიფიცირებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის	დასრულებულია	IPAM-მა განიხილა LALRP განხორციელების ანგარიში და დაადასტურა მითითებების წაშლა „სერიოზულად“ და „მნიშვნელოვნად“ ზემოქმედების ქვეშ

ქმედება No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მართვის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნები
	მენეჯმენტის დედლაინი: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლომდე (ზემოთ იხილეთ მენეჯმენტის განმარტება)	დასადასტურებლად - დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩანაწერების მიმოხილვა დაზარალებული ადამიანების უკუკავშირის სანახავად განხორციელებული პროცესის შესახებ.		ჩანაწერების მეშვეობით.		მყოფი საყოფაცხოვრებო კატეგორიებისა და ზღვრების შესახებ, რომლებიც მიემართება PCM CR-ის რეკომენდაციებს. IPAM-მა ასევე გადაამოწმა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჟურნალის ჩანაწერები განხორციელებულ პროცესზე.